



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის ჟურნალი

№2, 2020



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

ადმინისტრაციულ ნორმაშემოქმედებაში ხალხის მონაწილეობის ელექტრონული ფორმა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოში

ამერიკის შეერთებულ შტატებში და საქართველოში ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხალხის როლის გასაზრდელად, ადმინისტრაციული ორგანოები ადმინისტრაციულ ნორმაშემოქმედებაში ხალხის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მონაწილეობას მიმართავენ. შესაბამისად, ამერიკის შეერთებულ შტატებში და საქართველოში ცნობა ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების შესახებ, ქვეყნდება როგორც დოკუმენტური ფორმით, ისე ადმინისტრაციული ორგანოს ვებგვერდზე. თუმცა, ამერიკის შეერთებულ შტატებისგან განსხვავებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ ითვალისწინებს ადმინისტრაციულ ნორმაშემოქმედებასთან დაკავშირებით მოსაზრების ელექტრონულად წარდგენის შესაძლებლობას.

წინამდებარე სტატიაში გააანალიზებულია ცნობის ელექტრონულად გამოქვეყნების და მოსაზრების ელექტრონულად წარდგენის – ელექტრონული ნორმაშემოქმედების მნიშვნელობა და თავისებურებები, გამოკვლეულია ელექტრონული ნორმაშემოქმედების დადებითი და უარყოფითი მხარეები და შემოთავაზებულია მისი გაუმჯობესების გზები.

საკვანძო სიტყვები: ცნობის ელექტრონულად გამოქვეყნება, მოსაზრების ელექტრონულად გამოქვეყნება, ელექტრონული ნორმაშემოქმედება, ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედება, ელექტრონული ჩანაწერი.

1. შესავალი

აღსანიშნავია, რომ ცნობის გამოქვეყნების და კომენტარის წარდგენის დოკუმენტური ფორმის გარდა, ადმინისტრაციული ორგანოები ადმინისტრაციულ ნორმაშემოქმედებაში ხალხის მონაწილეობის გასაუმჯობესებლად ელექტრონულ საშუალებებს მიმართავენ. ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების შესახებ ცნობის გამოქვეყნებისათვის და მოსაზრებების წარდგენისათვის ელექტრონული საშუალებების გამოყენება¹ თანამედროვე ელექტრონული მმართველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია, რომელსაც როგორც ამერიკის შეერთებულ შტატების, ისე ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 2000 წელს ფედერალურმა მთავრობამ შექმნა ვებგვერდი: *Regulations.gov* და ჩანაწერების მართვის ფედერალური ელექტრონული სისტემა ჩამოაყალიბა, რომ ნორმაშემოქმედებასთან დაკავშირებული ინფორმაცია ერთ ცენტრალურ ონლაინ მისამართზე განეთავსებინა. ამ რეფორმის შედეგად, პირებს აღარ უწევთ სააგენტოში მისვლა და ჩანაწერების გაცნობა. ამასთან, ხალხს მეტი ნდობა აქვს რომ წარდგენილი მოსაზრებები შეტანილი იქნება ნორმაშემოქმედებაში.

* სამართლის დოქტორი.

¹ *Johnson S. M., Beyond the Usual Suspects: ACUS, Rulemaking 2.0, and a Vision for Broader, More Informed, and More Transparent Rulemaking, Administrative Law Review, Vol. 65, Winter, 2013, 91*, ამერიკის შეერთებულ შტატებში ელექტრონული ნორმაშემოქმედება სათავეს კლინტონის პრეზიდენტობის დროიდან იღებს. 2003 წელს ამოქმედებული იქნა სპეციალური ვებგვერდი *regulations.gov*, რომელიც ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების ჩანაწერებთან ინტერნეტის მეშვეობით დაშვებას უზრუნველყოფს... აღნიშნული ვებგვერდის ამოქმედების შემდეგ რამდენიმე სააგენტოს მიერ ინდივიდუალური ვებგვერდი იქნა შემუშავებული, *Coglianesi C., Kilmartin H., Mendelson E., Transparency and Public participation in the Federal Rulemaking Process: Recommendations for the New Administration, Annual Review of Administrative Law Report, George Washington Law Review, Vol. 77, June, 2009, 939-940*, ინფორმაციის ინფლაცია ცხადყოფს, რომ ცივილიზაცია განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. ადამიანს შეუძლია მისწეროს წერილი მილიონობით ადამიანს... შესაბამისად მიმოწერის ამგვარმა სახემ კულტურულ ევოლუციაზე გავლენა მოახდინა, *Paul G. L., Baron J. R., Information Inflation: Can the Legal System Adapt? Richmond Journal of Law and Technology, Spring, Vol. 13, 2007, 67*.

მედების შესახებ წარმოებულ ჩანაწერში.² აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსად, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში 2009 წელს შეტანილი იქნა ცვლილება, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია ნორმატიული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის პროექტი ელექტრონულად გამოაქვეყნოს.³ თუმცა, ამერიკის შეერთებული შტატებისგან განსხვავებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ ითვალისწინებს მოსაზრების ელექტრონულად წარდგენის შესაძლებლობას. თუმცა, მოსაზრების ელექტრონულად წარდგენა პრაქტიკაში შესაძლებელია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდის – *matsne.gov.ge*-ს მეშვეობით ან ადმინისტრაციული ორგანოს ვებგვერდის საშუალებით.

წინამდებარე სტატიის პირველ ორ თავში გაანალიზებულია ცნობის ელექტრონულად გამოქვეყნება ამერიკის შეერთებულ შტატებში და საქართველოში, ასევე მოსაზრების ელექტრონულად წარდგენის თავისებურებები ამერიკის შეერთებულ შტატებში და საქართველოში. შემდეგ ორ თავში წარმოჩენილია ელექტრონული ნორმაშემოქმედების⁴ დადებითი და უარყოფითი მხარეები, რასაც მოჰყვება ელექტრონული ნორმაშემოქმედების გაუმჯობესების გზების განხილვა. დასკვნაში მოცემულია კვლევის შედეგები და რეკომენდაციები.

2. ცნობის გამოქვეყნება ელექტრონულად

ამერიკის შეერთებული შტატების 2002 წლის ელექტრონული მმართველობის აქტით დადგინდა, რომ რეგულაციური მმართველობა „მოქალაქეებზე ორიენტირებული“ ასევე „ტრანსფარენტიული“ უნდა გახდეს, რაც ადმინისტრაციული სააგენტოების ანგარიშვალდებულებას უზრუნველყოფს. შესაბამისად, საჭიროა ხალხს სააგენტოს ჩანაწერებთან ინტერნეტის საშუალებით⁵ დაშვების უფლება მიენიჭოს.⁶

აქედან გამომდინარე, რეგულაციების პროექტების ვებგვერდზე განსათავსებლად და ხალხის მოსაზრებების მიღების გასამარტივებლად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ფედერალური მონაცემების ცენტრალური⁷ სისტემა⁸ შეიქმნა,⁹ ვებ გვერდ *Regulations.gov*-ის სახით, რომელზეც საა-

² *Field A. B.*, Comments on a truly “Top Task:” Rulemaking and its Accessibility on Agency Websites, Environmental Law Institute and Vanderbilt University Law School Environmental Law and Policy Annual Review Article and Response, Environmental Law Reporter News and Analysis, Vol. 44, August, 2014, 10668.

³ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 25/06/19, 106²-ე მუხლი, 1-ლი პუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, № 33, 09.11.2009.

⁴ იგულისხმება ცნობის ელექტრონულად გამოქვეყნება და მოსაზრების ელექტრონულად წარდგენა.

⁵ ამერიკის შეერთებულ შტატებში ელექტრონული ნორმაშემოქმედება მოიცავს სამ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: ფედერალური ჩანაწერების მართვის სისტემის ელექტრონულ ჩანაწერს, რომელიც წარმოადგენს ნორმაშემოქმედებასთან დაკავშირებული დოკუმენტების ელექტრონულ საცავს; „ფასვორდით“ დაცულ სივრცეს, რომელზეც სააგენტოებს აქვთ წვდომა და ვებ გვერდს: *Regulations.gov*, რომლის მეშვეობით სააგენტოს გარეთ მყოფ პირებს წვდომა აქვთ მასალებზე და შეუძლიათ შეთავაზებულ პროექტზე წარადგინონ მოსაზრებები, *Farina C. R.*, Achieving the Potential: The Future of Federal Rulemaking (2009) Report of the Committee on the Status and Future of Federal E-Rulemaking, Administrative Law Review, Vol. 62, Winter, 2010, 282.

⁶ *Farina C., Cardie C., Bruce T. R., Wagner E.*, Better Inputs for Better Outcomes: using the interference to improve e-Rulemaking, eRulemakings Federal Docket Management System, eRulemaking at Crossroads, A collection of White Papers prepared for Dg.O 2006, The 7th Annual International Conference on Digital Government Research, San-Diego, California, May 24, 2006, 13-15, <<http://people.umass.edu/stu/eRulemaking/Crossroads.pdf>> [12.10.2011].

⁷ თავდაპირველად ფედერალური ელექტრონული ნორმაშემოქმედება იყო *ad hoc* პროცესი. ინდივიდუალურმა სააგენტოებმა შეიმუშავეს სისტემები საკუთარი მიზნებისთვის. მათ ჰქონდათ დამოუკიდებელი სერვერი საკუთარ ვებგვერდთან ერთად. რეგულაცია ელექტრონულ ნორმაშემოქმედებაში დაიწყო ბუმის ადმინის-

გენტოები შეთავაზებული პროექტის შესახებ ცნობას აქვეყნებენ. ეს ვებგვერდი ამავე დროს წარმოადგენს ფორუმს, სადაც ხალხს შეუძლია მოსაზრებების წარდგენა და სხვების მიერ მიწოდებული კომენტარების გაცნობა. სააგენტოების 90%¹⁰ ინფორმაციას რეგულაციებთან დაკავშირებით ამ ვებგვერდზე განათავსებს.¹¹

ტრაციის დროს, როცა ელექტრონული ნორმაშემოქმედება ელექტრონული მმართველობის 2002 წლის სტრატეგიაში იქნა შეტანილი. მოგვიანებით იმავე წელს კონგრესმა მიიღო ელექტრონული მმართველობის აქტი, რომლის შესაბამისად, მართვის და ბიუჯეტის ოფისმა შეარჩია გარემოს დაცვის სააგენტო, როგორც წამყვანი სააგენტო ბუშის ადმინისტრაციის ელექტრონული ნორმაშემოქმედების ინიციატივისთვის. მას შემდეგ სისტემა სწრაფად განვითარდა და 2003 წელს ჩამოყალიბდა ვებგვერდი *Regulations.gov*. მართვის და ბიუჯეტის ოფისმა მოსთხოვა ყველა სააგენტოს ადმინისტრაციულ ნორმაშემოქმედებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ავტომატურად ამ ვებგვერდზე ფედერალურ ჩანაწერთა ელექტრონულ სისტემაში და გაეუქმებინათ ინდივიდუალური ვებგვერდი ცენტრალიზებული სისტემის სასარგებლოდ, *Jones G. D., Electronic Rulemaking in the New Age of Openness: Proposing a Voluntary Two-Tier Registration System for Regulations.Gov, Administrative Law Review, fall, 2010, Vol. 62, 1270.*

⁸ მონაცემების ფედერალური მენეჯმენტის სისტემა, რომელიც ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: www.regulations.gov შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეებს მასალები მოიძიონ და რეგულაციასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება წარადგინონ... მონაცემების ფედერალური მენეჯმენტის სისტემა უსაფრთხო და საიმედო ბაზას წარმოადგენს, რომელიც დეპარტამენტებს და სააგენტოებს უფლებას ანიჭებს საჯარო განხილვის და მოსაზრებების მიღებისათვის ადმინისტრაციულ ნორმაშემოქმედებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ვებგვერდზე განათავსონ. www.regulations.gov საშუალებას იძლევა ხალხის მიერ მასალების სწრაფი მოძიება განხორციელდეს, მაგალითად: მოძიებულ იქნეს ყველა რეგულაცია გამოქვეყნებული კონკრეტულ დღეს, ან რეგულაციები მოსაწესრიგებელი საკითხის მიხედვით ან დოკუმენტები საკვანძო სიტყვის მეშვეობით. მონაცემთა ფედერალური მენეჯმენტის სისტემის ერთ-ერთი ყველაზე მეტად ინოვაციური თავისებურება ის არის, რომ თითოეულ სააგენტოს შეუძლია სისტემის გარდაქმნა ისე, რომ იგი თავის რეგულაციურ პროცედურებს შეუსაბამოს, შეინარჩუნოს საკუთარი საქმიანობისათვის დამახასიათებელი პროცედურები და სისტემაში განთავსებულ ინფორმაციაზე კონტროლი განახორციელოს, *Morales O., Moses J., Environmental Agency eRulemaking Initiative, eRulemakings Federal Docket Management System, eRulemaking at Crossroads, A collection of White Papers prepared for Dg.O 2006, The 7th Annual International Conference on Digital Government Research, San-Diego, California, May 24, 2006, 2, <http://people.umass.edu/stu/eRulemaking/Crossroads.pdf> [12.10.2011].*

⁹ *Law H. K., Lau G. T., E-Rulemaking: Needs from ICT Perspectives, eRulemakings Federal Docket Management System, eRulemaking at Crossroads, A collection of White Papers prepared for Dg. O 2006, The 7th Annual International Conference on Digital Government Research, San-Diego, California, May 24, 2006, 11, <http://people.umass.edu/stu/eRulemaking/Crossroads.pdf> [12.10.2011].*

¹⁰ გადანყვეტილება (რომელიც ეწინააღმდეგებოდა ერთიანი ცენტრალიზებული სისტემის შექმნას) დაიბადა იქიდან გამომდინარე, რომ შეუძლებელი იყო ყველა სააგენტოს თანხმობის მიღწევა ინფორმაციის სტანდარტებსა და პრაქტიკასთან დაკავშირებით, *Farina C. R., Achieving the Potential: The Future of Federal Rulemaking (2009) Report of the Committee on the status and Future of Federal E-Rulemaking, Administrative Law Review, Vol. 62, Winter, 2010, 283.*

¹¹ გადანყვეტილებამ რომ შექმნილიყო ერთი ცენტრალიზებული სისტემა, აუცილებელი გახდა მონაცემთა ბაზის და ვებგვერდის ჩამოყალიბება, რომელიც ყველა სააგენტოს მოემსახურებოდა. შედეგად ყველა შეთანხმდა ზოგად სისტემაზე და ახალი, განსხვავებული აპლიკაციების შემოღება მკაცრად შეიზღუდა მენეჯმენტის და ბიუჯეტის ოფისის მიერ, რომელიც უკრძალავს სააგენტოებს ჰქონდეთ ინდივიდუალური ელექტრონული სისტემები, ასევე დანერგონ ახალი ელექტრონული საშუალებები ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედებისთვის (განმარტებული როგორც „დუბლირებული და დამხმარე სისტემა“). იქვე, 283, ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ძალიან რთულია, თუ შეუძლებელი არა, რომ ერთიანი ცენტრალიზებული მოდელი მოერგოს ნორმაშემოქმედებაში ჩაბმული ყველა სააგენტოს საქმიანობას. შესაბამისად, ერთი უნივერსალური ვებგვერდი, მნიშვნელობა არ აქვს როგორი კარგად ორგანიზებული არ უნდა იყოს სრულად ვერ გადმოსცემს სააგენტოს საქმიანობასა და რეგულაციასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ ინფორმაციას... შესაბამისად, დღეს მოქმედი დახურული, ექსკლუზიური და ერთ თარგს მორგებული „ტექნიკური არქიტექტურა“ მენეჯმენტისა და ბიუჯეტის ოფისის მიერ დადგენილ სტანდარტებთან ერთად, რომელიც ეწინააღმდეგება „დუბლირებულ და დამხმარე სისტემებს,“ აფერხებს დამატებითი კომპონენტების და ვებ პრეზენტაციების შექმნას სააგენტოების თუ დაინტერესებული პირების ან ჯგუფების მიერ. ამასთან, სააგენტოები, რომლებიც გამოირჩევიან ნორმაშემოქმედებით და სურვილი აქვთ განვითარდნენ ამ მიმართულებით, არ ფლობენ საამისოდ აუცილებელ სახსრებს, რადგან იხდიან ერთიანი სისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ თანხებს. შესაბამისად, არც მომხმარებელთა და არც

გარდა ვებგვერდისა, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფედერალური ჩანაწერების მართვის სისტემას, რომელზე დაშვება მხოლოდ სააგენტოს თანამშრომელს აქვს და სადაც სააგენტოებს ნორმაშემოქმედებასთან დაკავშირებული მასალების ელექტრონული ჩანაწერის წარმოება ევალება.¹²

ამერიკაში ელექტრონული ნორმაშემოქმედებისათვის განკუთვნილი ვებგვერდის ფუნქციონირება თანდათან დაიხვეწა, რასაც ხელი შეუწყო პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციის მიერ მიღებული № 13563 აღმასრულებელი ორდერი. ორდერი სააგენტოებს ავალებს უზრუნველყონ დროული ელექტრონული დაშვება *Regulations.gov*-ზე განთავსებულ ნორმაშემოქმედების ჩანაწერზე. მათ შორის სამეცნიერო და ტექნიკურ ინფორმაციაზე, რაც საჯარო უნდა გახდეს და ვებ-გვერდიდან ადვილად ჩამოიტვირთოს.¹³

სამთავრობო ვებგვერდთან ერთად რამდენიმე არასამთავრობო ვებგვერდი უნდა გამოიყოს. ვებგვერდი „რეგულაციის ოთახი“¹⁴ არის ელექტრონული ნორმაშემოქმედების საპილოტე პროგრამა დაფინანსებული ტრანსპორტის დეპარტამენტის და კორნელის უნივერსიტეტის მიერ და მიზნად ისახავს გააძლიეროს *Regulations.gov*.¹⁵

აღსანიშნავია, რომ ამერიკაში მოქმედი მონაცემთა ცენტრალური სისტემის მსგავსი ერთიანი ბაზა,¹⁶ სადაც ადმინისტრაციული ორგანოების მიერ შემუშავებული ადმინისტრაციულ-სამარ-

მრავალი სააგენტოს საჭიროება არ არის ადეკვატურად გათვალისწინებული, რაც ინოვაციას აფერხებს, იქვე, 285. სააგენტოებმა, რომლებიც ნორმაშემოქმედებაში არიან ჩართულები, უნდა წარმოადგინონ დეტალური ინფორმაცია საკუთარ ვებგვერდზე და გამოიყენონ ვებ საშუალებები ხალხის მონაწილეობის ხარისხის ასამაღლებლად. სააგენტოების მხრიდან ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედებისადმი ამგვარი ინოვაციური მიდგომა ნახალისებული უნდა იქნეს და არა აკრძალული, იქვე, 287-288.

¹² Johnson S. M., *Beyond the Usual Suspects: ACUS, Rulemaking 2.0, and a Vision for Broader, More Informed, and More Transparent Rulemaking*, *Administrative Law Review*, Vol. 65, Winter, 2013, 91.

¹³ Dooling B. C. E., *Legal Issues in E-Rulemaking*, *Administrative Law Review*, Vol. 63, Fall, 2011, 896-897.

¹⁴ რეგულაციის ოთახი გამოყენებული იქნა ტრანსპორტის დეპარტამენტის ნორმაშემოქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა დეპარტამენტის წინადადებას თვითმფრინავის მომხმარებელთა უფლებებზე. ამ ნორმაშემოქმედებისათვის ტრანსპორტის დეპარტამენტმა ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების შესახებ წინარე ცნობა წარუდგინა კორნელის უნივერსიტეტის ელექტრონული ნორმაშემოქმედების საინიციატივო ჯგუფს. ცნობის ოფიციალურად გამოქვეყნებამდე კორნელის უნივერსიტეტის ელექტრონული ნორმაშემოქმედების საინიციატივო ჯგუფში შემავალმა სტუდენტებმა და ფაკულტეტის წარმომადგენლებმა გაინაწილეს შეთავაზებული პროექტის სხვადასხვა თემა და თითოეული თემის მოკლე აღწერილობა გამოაქვეყნეს რეგულაციის ოთახის ვებგვერდზე. კორნელის უნივერსიტეტის საინიციატივო ჯგუფის წევრებმა ასევე დამატებით ჰიპერბმულები და სხვა მეორადი წყაროებიც გამოაქვეყნეს, რომლებიც რეგულაციის მიღების დროს იქნა გამოყენებული. ამის შემდეგ ჯგუფის წევრები ჩაებნენ იმ პირების მოძიებაში, რომლებიც დაინტერესებული იქნებოდნენ ნორმაშემოქმედებით და მათ სოციალური მედიის და სხვა საშუალებების მეშვეობით მოუწოდებდნენ ჩართულობას ნორმაშემოქმედებაში. როცა, ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების შესახებ ცნობა გამოქვეყნდა ფედერალურ რეესტრში და ასევე შესაძლებელი გახდა მისი ნახვა *regulations.gov*-ზე და ტრანსპორტის დეპარტამენტის ვებგვერდზე, ცნობაში მითითებული იქნა, რომ კორნელის უნივერსიტეტის ელექტრონული ნორმაშემოქმედების საინიციატივო ჯგუფი ორგანიზებას უწევდა საპილოტე პროგრამას ამ ნორმაშემოქმედებასთან დაკავშირებით, Johnson S. M., *Beyond the Usual Suspects: ACUS, Rulemaking 2.0, and a Vision for Broader, More Informed, and More Transparent Rulemaking*, *Administrative Law Review*, Vol. 65, Winter, 2013, 107.

¹⁵ Coglianesi C., *Enhancing Public Access to Online Information*, *Michigan Journal of Environmental and Administrative Law*, Vol. 2, Fall, 2012, 22-23.

¹⁶ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი ცენტრალური სისტემის მსგავსი მონაცემთა განათავსების ცენტრალური ბაზა მოქმედებს ევროპაში. კერძოდ, ევროკომისიის ვებგვერდი, „შენი ხმა“ ისეთივე სახით ფუნქციონირებს როგორც ამერიკული *Regulations.gov*. ის შეიქმნა იმავე მიზნებისთვის, რისთვისაც ამერიკული ვებგვერდი. ევროკომისიის ვებგვერდის ძირითად გვერდზე განთავსებულია მიმდინარე რეგულაციური შეთავაზებები (ეგრეთ წოდებული „კონსულტაციები“), რომლებთან დაკავშირებით ხალხს შეუძლია მოსაზრებების წარდგენა. ცალკე გვერდი იმავე ვებგვერდზე ამ შეთავაზებებს ალაგებს მოსაწესრიგებელი სფეროს მიხედვით რომ ადვილი გახდეს მათი მოძიება. სპეციფიკურ კონსულტაციაზე დაწკაპუნების შემდეგ, მომხმარებელი

თლებრივი აქტები იქნება განთავსებული, საქართველოში არ არსებობს. არც რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაცია არის დაკავებული ელექტრონული ნორმაშემოქმედების პოპულარიზაციით. თუმცა, ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების შესახებ ინფორმაციის ელექტრონული საშუალებით გავრცელების საინტერესო ფორმას ითვალისწინებს.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106²-ე მუხლის პირველი პუნქტი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ელექტრონული ფორმით გამოქვეყნების წესს ადგენს, რომლის მიხედვით ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ვებგვერდზე შეიძლება განთავსდეს. გარდა ამისა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106²-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.¹⁷

მაშასადამე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების შესახებ ცნობის ინტერნეტის საშუალებით გამოქვეყნებას ითვალისწინებს, თუმცა, არაფერია ნათქვამი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებების ელექტრონული ფორმით წარდგენაზე. თუმცა, პრაქტიკაში ნორმატიული აქტის პროექტის გაგამოქვეყნება ხდება საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე (სადაც შესაძლებელია კომენტარების დატოვება), რაც არ გამოორიცხავს ამ აქტების თავად ადმინისტრაციული ორგანოს ვებგვერდზე გამოქვეყნებას. მოსაზრების ელექტრონულად წარდგენის როგორი წესი მოქმედებს საქართველოში და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამაზე დეტალურად შემდეგ თავში იქნება საუბარი.

3. მოსაზრების წარდგენა ელექტრონულად

ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით¹⁸ საქართველოში არ მოქმედებს სპეციალური კანონი, რომელიც ადმინისტრაციულ ნორმაშემოქმედებაში ინტერნეტის გამოყენებას და

გადადის გვერდზე, რომელიც შეიცავს ძირითად ინფორმაციას წარდგენილ შეთავაზებასთან დაკავშირებით, ასევე ბმულებს და ინსტრუქციებს როგორ უნდა იქნეს მოსაზრებები (ცნობილი როგორც „კონტრიბუცია“) წარდგენილი. მაშინ, როცა სხვა კონსულტაციები ითხოვენ კონტრიბუციას ელექტრონული გზავნილის გამოყენებით... ან დეტალური კითხვარების შევსებას. ეს კითხვარები შეიცავენ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეთავაზებული რეგულაციის ცალკეულ ასპექტებზე და შემდეგ წარმოადგენენ კითხვათა სერიას თითოეულ ასპექტზე. თუმცა -ისგან განსხვავებით, შენი ხმის განსაკუთრებული მახასიათებელია ის, რომ იგი ერთმანეთისგან განასხვავებს პირებს, რომლებიც საკუთარ თავს წარმოადგენენ და ორგანიზაციებს, რომლებიც სპეციალურ ინტერესებს იცავენ. კერძო პირებს არ შეუძლიათ სისტემაში რეგისტრაცია, თუმცა შეუძლიათ დატოვონ პერსონალური ინფორმაცია საკუთარი თავის შესახებ. განსხვავებული წესი მოქმედებს ლობისტების და სხვა ორგანიზაციების მიმართ, სადაც მათ უნდა დაარეგისტრირონ საკუთარი ორგანიზაციები ინტერესების წარმომადგენელთა რეესტრში. მათ უნდა დაარეგისტრირონ ორგანიზაცია ერთ-ერთი სახით: „პროფესიული კონსულტაციები“ ან სამართლის ფირმა, კორპორაციული ლობისტური გაერთიანებები ან სავაჭრო გაერთიანებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ან სხვა ზოგად კატეგორიაში. რეგისტრაცია მოითხოვს ორგანიზაციის შესახებ დეტალური ინფორმაციის წარდგენას...პროცედურა არის ნებაყოფლობითი და პირს, რომელსაც რეგისტრაციის სურვილი არა აქვს, შეუძლია აირჩიოს კონტრიბუცია კერძო პირის სახელით, *Jones G. D., Electronic Rulemaking in the New Age of Openness: Proposing a Voluntary Two-Tier Registration System for Regulations.Gov, Administrative Law Review, Vol. 62, Fall, 2010, 1275-1277.*

¹⁷ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 106²-ე მუხლი, მე-2 პუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, № 33, 09/11/2009.

¹⁸ რამდენადაც ეს შესაძლებელია, სააგენტოები მიიღებენ მოსაზრებებს ელექტრონული ფორმით ადმინისტრაციული პროცედურების აქტის 553-ე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, მე-5 თავის მიხედვით, ელექტრონული მმართველობის აქტი 2002, განყოფილება 206 (გ).

მათ შორის ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების დროს მოსაზრებების ელექტრონული ფორმით წარდგენას დაწვრილებით მოაწესრიგებდა. თუმცა, საქართველოში დამკვიდრებულია მოსაზრებების ელექტრონულად წარდგენის პრაქტიკა საკანონმდებლო მაცნისა და ადმინისტრაციული ორგანოს ვებგვერდის მეშვეობით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსაზრებების წარდგენის პროცედურის გაადვილებისათვის, სააგენტოებმა 1990 წლიდან ინტერნეტის გამოყენება დაიწყეს. ზოგიერთმა სააგენტომ ისეთი სისტემა დანერგა,¹⁹ რომ ინტერნეტის მეშვეობით შესაძლებელია ყველა სახის მოსაზრების წარდგენა, მიღებული კომენტარების²⁰ გამოქვეყნება და შემდეგ დამატებითი მოსაზრებების წარდგენა, რომლის მეშვეობით მოქალაქეები თავდაპირველ მოსაზრებებს პასუხს გასცემენ.²¹

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსაზრებების ელექტრონულად წარდგენის დროს მოსაზრების გაბათილების პროცესი გამოიყენება, რომელიც ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების ყველა მონაწილეს შესაძლებლობას აძლევს სხვა მონაწილის მიერ წარდგენილ კომენტარებს შესაბამისი პასუხი გასცეს.²² ამასთან, ელექტრონული ფორმით წარდგენილი მოსაზრებები დაინტერესებული პირებისათვის მყისვე ხელმისაწვდომია. კომენტარების მოძიება ხარჯებთან არ არის დაკავშირებული და ისინი გამზადებულია ანალიზისათვის.²³

გარდა ამისა, ნორმაშემოქმედება 2.0. პროექტის²⁴ ფარგლებში გაუმჯობესებულია მოსაზრებების მიწოდება ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით. „რეგულაციის ოთახი,“ რომელიც ნორმაშემოქმედების საპილოტე პროგრამაა და განხორციელდა კორნელის უნივერსიტეტის ელექტრონული ნორმაშემოქმედების ინიციატივის ფარგლებში (ამერიკის შეერთებული შტატების ტრანსპორტის დეპარტამენტთან კოორდინაციით) ამის თვალნათელი მაგალითია.²⁵

¹⁹ სააგენტოები აწარმოებენ მონაცემთა აღრიცხვის სისტემას და ის იმგვარად აქვთ მონყობილი რომ მოქალაქეებს შეუძლიათ მოიძიონ ზოგადი საკითხები, სპეციალური ნორმები და ამის შემდგომ წარადგინონ მოსაზრებები, რომლებიც პირდაპირ კომენტარების ჩანაწერის წიგნში შედის, *Schlosberg D., Zavestoski S., Shulman S. W., Democracy and E-Rulemaking: Web-Based Technologies, Participation, and the Potential for Deliberation, Journal of Information Technology and Politics, Vol. 4 (1) 2007, 39, <http://people.umass.edu/stu/eRulemaking/JITP4-1_Democracy.pdf> [10.09.2010].*

²⁰ მაგალითად, ვებგვერდს [regulations.gov](http://www.regulations.gov). რომელიც 2003 წლიდან აქტიურად გამოიყენება, ბმულები აქვს მიმაგრებული, სადაც მოსაზრებების წარდგენისათვის განკუთვნილი დოკუმენტები საკითხისა და თარიღის მიხედვით არის განთავსებული, *Benjamin S. M., Evaluating Rulemaking Public Participation and Political Institutions, Duke Law Journal, Vol. 55, March, 2006, 899.*

²¹ *O' Looney J., Electronic Policy and Rule Making, Draft 7/2000, <<http://www.law.upenn.edu/academics/institutes/regulation/erulemaking/papersandreports.html>> [10.09.2010].*

²² *Herz M., "Rulemaking," in: Developments in Administrative Law and Regulatory Practice, Lubbers J. S. (ed.), 2002-2003, (copyright 2004, ABA section of administrative law and regulatory practice) <https://www.law.upenn.edu/institutes/regulation/erulemaking/papers_reports/Herz_E_Rulemaking.pdf> [10.09.2010].*

²³ *Coglianesse C., The Internet and Public Participation in Rulemaking, Paper prepared for conference on Democracy in Digital Age, Yale Law School, April, 2003, 6 <<http://www.hks.harvard.edu/m-rcbg/research/rpp/RPP-2003-05.pdf>> [30.10.2012].*

²⁴ ინაუგურაციის შემდეგ პრეზიდენტმა ობამამ გამოსცა მემორანდუმი, რომელშიც მოუწოდებდა ფედერალურ სააგენტოებს გამოეყენებინათ ვებ 2.0 და სხვა საინფორმაციო ტექნოლოგიები...2009 წლის დეკემბერს მენეჯმენტის და ბიუჯეტის ოფისმა შეიმუშავა დირექტივა და სააგენტოებს მისცა 4 თვის ვადა შეემუშავებინათ „ღია მმართველობის გეგმა.“ ამის შესაბამისად, ტრანსპორტის დეპარტამენტმა დანერგა პროექტი სახელწოდებით რეგულაციის ოთახი, რომლისთვისაც მიიღო თეთრი სახლის ჯილდო ამგვარ პროექტებში ლიდერობისათვის. ამ პროექტის მიზანია ხალხის მონაწილეობის და ხალხის განათლების ექსპერიმენტული ელექტრონული პლატფორმის შექმნა, *Farina C. R., Newhart M. J., Cardie C., Cosley D., Rulemaking 2.0, Symposium: What Change Will Come: The Obama Administration and the Future of the Administrative State Articles, University of Miami Law Review, Vol. 65, Winter, 2011, 396.*

²⁵ *Johnson S. M., Beyond the Usual Suspects: ACUS, Rulemaking 2.0, and a Vision for Broader, More Informed, and More Transparent Rulemaking, Administrative Law Review, № 65, Winter, 2013, 108.*

რეგულაციის ოთახის ვებგვერდი²⁶ არ არის სამთავრობო ვებგვერდი და პროექტს ფედერალური მთავრობა არ კურირებს.²⁷ „რეგულაციის ოთახის“ მეშვეობით პირებს, რომლებიც შედიან რეგულაციის ოთახის ვებგვერდზე შეუძლიათ კომენტარების წარდგენა რეგულაციის ნაწილთან ან მთლიან რეგულაციასთან დაკავშირებით.²⁸

მოსაზრებების წარმდგენი პირებისათვის იმ დოკუმენტის მიწოდების გარდა, რომელშიც ახსნილია ეფექტური კომენტარის დაწერის წესი, კორნელის უნივერსიტეტის ელექტრონული ნორმაშემოქმედების საინიციატივო ჯგუფი გამოყოფს იმ მოსაზრებებს, რომლებიც ნორმაშემოქმედების დროს წარდგენილ „რეკომენდებულ“ მოსაზრებებს წარმოადგენენ... როგორც წესი, რეკომენდებულია ის კომენტარი, რომელიც დასაბუთებულია. რეკომენდებულია კომენტარი, რომელიც აყალიბებს საკითხის შესწავლის მიზნებს, შეიცავს ინფორმაციას, ითვალისწინებს ალტერნატივებს, უჩვენებს, რომ მოსაზრების ავტორს გაანალიზებული აქვს გამოსაკვლევი თემის ყველა ასპექტი.²⁹

მართალია, საქართველოში მოსაზრებების ელექტრონულად წარდგენის შესაძლებლობა არ არის რეგლამენტირებული კანონმდებლობაში, მაგრამ პრაქტიკაში მოქმედებს საკანონმდებლო მაცნის ვებგვერდი, *matsne.gov.ge*, სადაც მომხმარებელს შეუძლია დატოვოს კომენტარი ნორმატიული აქტის პროექტზე.

საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე შესვლის შემდეგ გრაფაზე „ახალი ნორმატიული დოკუმენტები“ დაწკაპუნების შემდეგ გამოდის ნორმატიული აქტების კლასიფიკაცია შეფერილობის მიხედვით. მწვანე ფერით არის მოცემული ძალაში მყოფი აქტები, ლურჯი ფერით-ასამოქმედებელი აქტები და ნილად-ძალადაკარგული აქტები. მომხმარებელს შეუძლია ლურჯი შეფერილობის მიხედვით მოძებნოს ასამოქმედებელი აქტები და ნორმატიული აქტის პროექტზე დატოვოს კომენტარი.

აღსანიშნავია, რომ ასამოქმედებელი ნორმატიულ აქტები, ხშირად არის სხვადასხვა მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების პროექტები ან მინისტრის ბრძანებები. ნორმატიული აქტის პროექტის გახსნის შემთხვევაში, მოცემულია მინიშნება კომენტარების დასატოვებლად, რომელზე დაწკაპუნების შემთხვევაში, სისტემაში შესასვლელად მოთხოვნილი იქნება პირმა გაიაროს რეგისტრაცია და გახდეს რეგისტრირებული მომხმარებელი, რომ დატოვოს კომენტარი.

²⁶ პლატფორმა კვლევის პროცესში სოციალური მედიის და სხვა თანამედროვე საშუალებების გამოყენებას ითვალისწინებს რომ უზრუნველყოფილი იქნეს ხალხის „ცოცხალი“ მონაწილეობა ფედერალურ ნორმაშემოქმედებაში. რეგულაციის ოთახი, არის სისტემა, რომელიც ადამიანის და დამხმარე კომპიუტერული საშუალებების ერთიანობას წარმოადგენს. ...ვებგვერდის დაკავშირება კერძო უნივერსიტეტთან ვებგვერდის დიზაინის ექსპერიმენტების და მეთოდების თავისუფალი არჩევის შესაძლებლობას იძლევა, რაც რთული იქნებოდა ოფიციალურ სახელმწიფო ვებ გვერდზე, *Farina C. R., Newhart M. J., Cardie C., Cosley D., Rulemaking 2.0, Symposium: What Change Will Come: The Obama Administration and the Future of the Administrative State Articles, University of Miami Law Review, Vol. 65, Winter, 2011, 397.*

²⁷ *Johnson S. M., Beyond the Usual Suspects: ACUS, Rulemaking 2.0, and a Vision for Broader, More Informed, and More Transparent Rulemaking, Administrative Law Review, Vol. 65, Winter, 2013, 108.*

²⁸ საპილოტე ელექტრონული ნორმაშემოქმედების ფარგლებში კორნელის უნივერსიტეტის ელექტრონული ნორმაშემოქმედების საინიციატივო ჯგუფი ვებგვერდზე ასრულებდა მოდერატორის ფუნქციას, ამონმებდა არასათანადო შინაარსის ინფორმაციას, ასევე უსვამდა კითხვებს და პასუხობდა მოსაზრებების ავტორებს, იქვე, 107. კორნელის უნივერსიტეტის ელექტრონული ნორმაშემოქმედების საინიციატივო ჯგუფის წევრები ასევე ცდილობდნენ დაინტერესებულ პირთა მოზიდვას მოსაზრებების წარდგენის პროცესში მონაწილეობის მისაღებად. ეს პროცესი ბევრ დროს მოითხოვდა. შესაბამისად, ამაზე აქტიურად მუშაობდნენ სტუდენტები და კორნელის უნივერსიტეტის პროფესორები. მოსაზრებების წარდგენის პერიოდის დასრულების შემდეგ, კორნელის უნივერსიტეტის ელექტრონული ნორმაშემოქმედების საინიციატივო ჯგუფის წევრებმა წარდგენილი მოსაზრებების მოკლე აღწერილობა წარმოადგინეს. მას შემდეგ, რაც გადამონმებული იქნა აღწერილობა, იგი შეტანილი იქნა, როგორც მოსაზრება ნორმაშემოქმედების ჩანაწერში, იქვე, 108-109.

²⁹ იქვე, 108.

დარეგისტრირების შემდეგ, მომხმარებელს შეუძლია დატოვოს კომენტარი ნორმატიული აქტის პროექტთან დაკავშირებით. გარდა ამისა, გახსნილი გვერდის მარცხენა ზედა კუთხეში არის მინიშნება მომხმარებლების მიერ ადრე დატოვებული კომენტარების ნაკითხვის შესაძლებლობის შესახებ სახელწოდებით „დოკუმენტის კომენტარები.“ ამ გრაფაზე დანაკაპუნების შედეგად იხსნება ფანჯარა, სადაც მოცემულია დოკუმენტთან დაკავშირებით წარდგენილი სორტირებული კომენტარები. კომენტარების სორტირება ხდება რაოდენობის, უახლესი კომენტარებისა და რეიტინგის მიხედვით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უმრავლეს შემთხვევაში დოკუმენტს საერთოდ არ ახლავს კომენტარი. აშკარაა, რომ მომხმარებლები პასიურობენ კომენტარების დატოვებისას, რადგან არ ფლობენ ინფორმაციას ამ შესაძლებლობის შესახებ.

ამასთან, გარდა საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდისა, შესაძლებელია თავად ადმინისტრაციული ორგანოს ვებგვერდზე იყოს მოცემული ელექტრონული კომენტარების დატოვების შესაძლებლობა. თუმცა, არ არსებობს საკანონმდებლო აქტი, რომელიც ამ საკითხს დაწვრილებით მოაწესრიგებს და ადმინისტრაციული ორგანოს გადამწყვეტილებაზე დამოკიდებული გამოიყენებს თუ არა თავის ვებგვერდზე მოსაზრებების ელექტრონულად წარდგენის წესს.

აქედან გამომდინარე, სასურველია საკანონმდებლო აქტით განისაზღვროს მოსაზრებების ელექტრონულად წარდგენის ცენტრალიზებული მოდელის დამკვიდრება საქართველოში. ამერიკის შეერთებული შტატების და ევროპის გამოცდილება³⁰ ადასტურებს, რომ აქცენტი უნდა გაკეთდეს ცენტრალიზებულ ვებგვერდზე, რომელიც მეტი შედეგის მომტანია და ნაკლებ დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

აღსანიშნავია, რომ ცნობის გამოქვეყნების და მოსაზრების წარდგენის ელექტრონული ფორმის დამკვიდრებასთან ერთად მეცნიერებს შორის არსებობს დავა იმის თაობაზე, რამდენად შედეგანია ცნობის ელექტრონულად გამოქვეყნება და მოსაზრებების ელექტრონულად წარდგენა. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მოსაზრებების ელექტრონული ფორმით წარდგენა სააგენტოს მიერ ნორმათა შემუშავების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობას უზრუნველყოფს. ადმინისტრაციული ნორმათა შემუშავების პროცესი ინტერაქტიური ხდება და დაინტერესებული პირები როგორც სააგენტოს, ისე სხვა დაინტერესებული პირების მიერ წარდგენილ მოსაზრებებზე სათანადო რეაგირებას ახორციელებენ.³¹ თუმცა, როგორი სახით უნდა იქნეს გამოყენებული საინფორმაციო ტექნოლოგიები რეგულაციურ პროცესში ან როგორ უნდა შეიცვალოს ადმინისტრაციული ნორმათა შემუშავების პროცესი ახალი ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად,³² ამაზე ქვემოთ ვისაუბრებ.

4. ცნობის ელექტრონულად გამოქვეყნების და მოსაზრების ელექტრონულად წარდგენის დადებითი მხარეები

ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერები და მთავრობის საქმიანობის რეფორმირების მხარდამჭერნი ამტკიცებენ, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება მნიშვნელოვნად გაზრდის ხალხის მონაწილეობას რეგულაციური პოლიტიკის შემუშავებაში,³³ რადგან ელექტრონუ-

³⁰ იხ. მე-16 სქოლიო.

³¹ Benjamin S. M., Evaluating Rulemaking Public Participation and Political Institutions, Duke Law Journal, Vol. 55, March, 2006, 902.

³² Coglianese C., Citizen Participation in Rulemaking: Past, Present and Future, Thirty-Fifth Annual Administrative Law Issue The Role of the Internet in Agency Decision making, Duke Law Journal, Vol. 55, March, 2006, 968.

³³ ინტერნეტის სავარაუდო მომხმარებლები არიან, როგორც კონგრესის წარმომადგენლები, რომლებსაც მიღებული საკანონმდებლო აქტების იმპლემენტაციის შემოწმება სურთ, ასევე სააგენტოს მენეჯერები და უზრა-

ლი მმართველობა, ისეთი აქტივობაა,³⁴ რომელიც საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე მიზნად ისახავს საჯარო ადმინისტრირების ეფექტიანობის და რეზულტატურობის გაზრდას.³⁵

მეცნიერები მიუთითებენ, რომ ელექტრონული ნორმაშემოქმედება³⁶ ანუ ახალი ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება შესაძლებლობას იძლევა აქამდე განცალკევებული პროცესი ისეთ პროცესად გარდაიქმნას, რომელშიც მოქალაქეები რეგულარულად მიიღებენ მონაწილეობას.³⁷

ელექტრონული ნორმაშემოქმედება ფოკუსირებულია ადმინისტრაციულ ნორმაშემოქმედებაში, არა მხოლოდ ხალხის მონაწილეობის უფლებაზე, არამედ მის პრაქტიკულ რეალიზაციაზე. კომპიუტერული პროგრამა ადგენს ხალხის მონაწილეობის დღის წესრიგს, კერძოდ, ვინ, როდის და რამდენჯერ უნდა დააფქსიროს საკუთარი მოსაზრება და რა წესები გამოიყენება დიალოგის წარმართვისას.³⁸

ამერიკაში სააგენტოს წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა რას ფიქრობენ სააგენტოს წარმომადგენლები ელექტრონული ნორმაშემოქმედების შესახებ. გამოკითხულთა ნაწილმა დადებითად შეაფასა ელექტრონული ნორმაშემოქმედება და აღნიშნა, რომ ელექტრონული ნორმაშემოქმედება ხალხის მიერ კომენტარების წარდგენის გაძლიერების და ჩანაწერთან ადვილი დაშვების რეალური შესაძლებლობაა.³⁹

ერთადერთ პრობლემად სააგენტოს წარმომადგენლებმა ელექტრონული საშუალებების სრულად გამოყენების შეუძლებლობა და ელექტრონულ ნორმაშემოქმედებასთან ერთად ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების შესახებ დოკუმენტური წარმოების პარალელური პროცედურის გაგრძელება მიიჩნიეს.⁴⁰

ლო თანამშრომლები, *Otis R. D., Miles-McLean S. C.*, Federal Government Inter-Branch Integrated Regulatory Information System, eRulemakings Federal Docket Management System, eRulemaking at Crossroads, A collection of White Papers prepared for Dg.O 2006, The 7th Annual International Conference on Digital Government Research, San-Diego, California, May 24, 2006, 5, <<http://people.umass.edu/stu/eRulemaking/Crossroads.pdf>> [10.09.2010].

³⁴ ინტერნეტ-ტექნოლოგიას შეუძლია უზრუნველყოს მმართველობის პროცესის გაუმჯობესება მოქალაქეებისთვის ინფორმაციის მიწოდების და მათგან ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით, *Adler M.*, *Administrative Justice in Context*, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2010, 55.

³⁵ *Milosz M., Tykwinska-Rutkowska D.*, The Concept of "E-Administration" and the Regulatory Framework for Electronic Administration in Polish Law, *Computer and Telecommunications Law Review*, Vol. 14 (4), 2008, 100.

³⁶ ელექტრონული ნორმაშემოქმედების მიზანი არის მთავრობის მიერ დამუშავებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ელექტრონული ფორმით, რაც მოქმედი და შეთავაზებული რეგულაციების კონტროლს გაადვილებს, "The purpose of e-rulemaking is to provide access to information processed by the government electronically, which will facilitate the control of standing and proposed regulations", *Kartz B., Hurwitz R., Lin J. J., Uzuner O.*, Better Policy Through Natural Language Information Access, <<http://www.law.upenn.edu/academics/institutes/regulation/erulemaking/papersandreports.html>> [10.09.2010], ელექტრონული ნორმაშემოქმედების მიზნები ერთნაირია ყველა სააგენტოსთვის. ელექტრონული ნორმაშემოქმედების პირველი მიზანი არის დოკუმენტ წარმოების და სააგენტოს დანახარჯების შემცირება. მეორე მიზანი არის მონაწილეობითი დემოკრატიის ხარისხის გაზრდა...ელექტრონული ნორმაშემოქმედების მესამე მიზანი არის „დელიბერაციის“ გაზრდა, რომელიც, არა მარტო საკითხის დემოკრატიულ განხილვას უწყობს ხელს, არამედ აუმჯობესებს პოლიტიკური გადაწყვეტილების ხარისხს, *Figueiredo J. H.*, E-Rulemaking: Bringing Data to Theory at the Federal Communications Commission, *Duke Law Journal*, Thirty-Fifth Annual Administrative Law Issue, The Role of the Internet in Agency Decision-making Articles, Vol. 55, March, 2006, 974-975.

³⁷ *Coglianesi C.*, Citizen Participation in Rulemaking: Past, Present and Future, Thirty-Fifth Annual Administrative Law Issue The Role of the Internet in Agency Decision-making, *Duke Law Journal*, Vol. 55, March, 2006, 943.

³⁸ *Noveck B. S.*, Public Participation in Electronic Rulemaking: Electronic Democracy or Notice-and-Spam? *Administrative and Regulatory Law News*, Vol. 30, Fall, 2004, 8.

³⁹ *Lubbers J. S.*, A Survey of Federal Agency Rulemakers' Attitudes about E-Rulemaking, *Administrative Law Review*, Vol. 62, Spring 2010, 471.

⁴⁰ იქვე.

სააგენტოს წარმომადგენლებმა ასევე განაცხადეს, რომ ელექტრონული ჩანაწერის არსებობა ხელს შეუწყობს მიღებული მოსაზრებების ადვილად მართვას, რადგან მოსაზრებების ასლების გადაცემის ნაცვლად, სააგენტოს წარმომადგენლები დაინტერესებულ პირებს მიუთითებენ გაეცნონ მოსაზრებებს ვებგვერდზე: *Regulation.gov*.⁴¹

ელექტრონული ნორმაშემოქმედების მხარდამჭერი სააგენტოს წარმომადგენლები მიუთითებენ, რომ ინტერნეტი ადმინისტრაციულ ნორმაშემოქმედებაში ძველი თაობის გარდა, მილენიუმის თაობას ჩართავს. მართალია, ელექტრონული ნორმაშემოქმედების ჩანაწერი არ წარმოადგენს ბლოგს, რადგან პირმა უნდა გახსნას ბმული სახელწოდებით: ცნობა შეთავაზებული ნორმაშემოქმედების შესახებ...რათა გადავიდეს ძირითად საკითხზე. თუმცა, სააგენტოს წარმომადგენლების განცხადებით, საიტზე შესაძლებელია ბლოგის განთავსება, რომელიც მიზნული იქნება ელექტრონული ნორმაშემოქმედების ჩანაწერზე და წარმოდგენილი იქნება „პოდაკასტ ფაილის“ სახით შემდგომი გადმოწერისათვის.⁴²

სხვა ზემოთ ჩამოთვლილ დადებით მხარესთან ერთად, გამოსაყოფია ასევე ის, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიის გამოყენება, არა მარტო რეალურს გახდის მოქალაქეთა მონაწილეობის პროცესს, არამედ დაეხმარება მოქალაქეებს მათი მონაწილეობის პოტენციალის გაცნობიერებაში.⁴³

გარდა ამისა, ცნობის გამოქვეყნების და მოსაზრების წარდგენის ელექტრონული ფორმის გამოყენების მხარდამჭერი მკვლევარების განცხადებით, ელექტრონული ნორმაშემოქმედება რეგულაციურ მიღწევას წარმოადგენს მოქალაქეზე ორიენტირებული მმართველობისკენ მიმავალ გზაზე და უზრუნველყოფს რეგულაციის განვითარების პროცესის გარდაქმნას, რაც რეგულაციური მმართველობის გაუმჯობესებას, ასევე ადმინისტრაციულ ნორმაშემოქმედებაში ხალხის მონაწილეობის გაძლიერებას ემსახურება.⁴⁴

მაშასადამე, ადმინისტრაციულ ნორმაშემოქმედებაში ხალხის ინტერნეტის მეშვეობით ჩართულობას შეუძლია ნორმათა შემუშავების პროცესში საზოგადოების უკეთესი მონაწილეობა უზრუნველყოს,⁴⁵ რადგან ინტერნეტის საშუალებით ცნობის გამოქვეყნება და მოსაზრების წარდგენა, ხალხის სამოქალაქო პასუხისმგებლობას აამაღლებს.⁴⁶

ამასთან, ელექტრონული ნორმაშემოქმედება მოქალაქეებს შესაძლებლობას მისცემს გაეცნონ სხვადასხვა პირის მიერ წარდგენილ პოზიციას,⁴⁷ მათ შორის ისეთს, რომელსაც არ ეთანხმებიან.⁴⁸

⁴¹ იქვე.

⁴² იქვე, 472.

⁴³ Noveck B. S., *The Electronic Revolution in Rulemaking*, Emory Law Journal, Vol. 53, Spring, 2004, 516.

⁴⁴ Law H. K., Lau G. T., *E-Rulemaking: Needs from ICT Perspectives*, eRulemaking Federal Docket Management System, eRulemaking at Crossroads, A collection of White Papers prepared for Dg.O 2006, The 7th Annual International Conference on Digital Government Research, San-Diego, California, May 24, 2006, 11, <<http://people.umass.edu/stu/eRulemaking/Crossroads.pdf>> [10.09.2010].

⁴⁵ ელექტრონული ნორმაშემოქმედება უზრუნველყოფს, არა მარტო დაინტერესებული პირების აქტიურ მონაწილეობას ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების პროცესში, არამედ მასში მონაწილეობას ყველასათვის ხელმისაწვდომს ხდის...ათი წლის წინ პირს უნდა დაეჭირა ვაშინგტონის ერთ-ერთი საადვოკატო ფირმა იმისათვის, რომ ადმინისტრაციულ ნორმაშემოქმედებასთან დაკავშირებით სრულყოფილი ინფორმაცია მოეპოვებინა. ადვილი სავარაუდოა, რომ ათი წლის შემდეგ სააგენტოსთვის მიწოდებული წერილობითი მოსაზრებები საზოგადოების სააგენტოსთან ურთიერთობის იშვიათი ფორმა იქნება, *Lubbers J. S., The Transformation of the U.S. Rulemaking Process-For Better or Worse*, Ohio Northern University Law Review, Vol. 34, 2008, 479.

⁴⁶ Carlitz R. D., Gunn R. W., *Once in a Lifetime: Opportunities for Civic Engagement*, Pittsburgh, PA 15219, February, 2003, <http://www.info-ren.org/publications/cof/cof_0210.html> [10.09.2010].

⁴⁷ ონლაინ დიალოგი ადმინისტრაციულ ნორმაშემოქმედებაში ხალხის მონაწილეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით შეიძლება იყოს გაცილებით შედეგიანი ვიდრე საჯარო მოსმენები, *Brandon B. H., Carlitz R. D.,*

გარდა ამისა, ელექტრონულ ნორმაშემოქმედებას შეუძლია მოქალაქეს და ადმინისტრაციას შორის ურთიერთობა გააადვილოს და სააგენტოსთან კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაციის შენახვა უზრუნველყოს, რომელზე დაშვება ხალხს გაცილებით უფრო გაუმარტივდება.⁴⁹

მართალია, დღეისათვის ელექტრონული ნორმაშემოქმედების ეფექტიანობის შესაფასებლად ცოტა ემპირიული მტკიცებულება არსებობს.⁵⁰ თუმცა, მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ინტერნეტის მეშვეობით მოქალაქეთა სამთავრობო გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქტიურ ჩართვას, შეიძლება ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდეს.⁵¹

შესაბამისად, ელექტრონული ნორმაშემოქმედების მხარდამჭერი მკვლევარები მიუთითებენ, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენება უზრუნველყოფს ისეთი მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევას, როგორცაა: რეგულაციური გადაწყვეტილებების ხარისხის გაუმჯობესება და ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების ლეგიტიმურობის გაზრდა.⁵²

ამასთან, მეცნიერთა ნაწილი ელექტრონული ნორმაშემოქმედების უმთავრეს მიღწევად ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების გამჭვირვალობის ან მოპოვებული ინფორმაციის მოცულობის ზრდას არ მიიჩნევს. მათი აზრით, ინტერნეტის მეშვეობით ცნობის გამოქვეყნების და მოსაზრების წარდგენის დანერგვის მიზანია მეცნიერებს და პოლიტიკის შემმუშავებლებს ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების პროცესზე ნათელი წარმოდგენა შეუქმნას.⁵³

სანამ მოქმედი რეგულაციური პროცესის გარდაქმნა მოხდება, მნიშვნელოვანია იმ მიზნების გათვალისწინება, რაც ამგვარ ტრანსფორმაციის შეიძლება მოჰყვეს. ამიტომ, ელექტრონული ნორმაშემოქმედების კვლევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ის უარყოფითი მხარეები, რაც ცნობის გამოქვეყნების და მოსაზრების წარდგენის ელექტრონულ ფორმას ახლავს თან.

Online Rulemaking and Other Tools for Strengthening our Civil Infrastructure, *Administrative Law Review*, Vol. 54, Fall, 2002, 1470.

⁴⁸ ჩატარებული იქნა კვლევა, რომლის მიხედვით, გამოკითხული რესპონდენტების სამმა მეოთხედმა განაცხადა, რომ მათ ნაიკითხეს სხვების კომენტარები და ამის შემდეგ საკუთარი პოზიცია შეცვალეს. აღნიშნული მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების პროცესის ონლაინ რეჟიმში გადასვლამ იგი უფრო დელიბერაციული გახადა.... კვლევის შედეგად ასევე დადგინდა, რომ ადმინისტრაციულ ნორმაშემოქმედებაში მონაწილე მოქალაქეები სურვილს გამოთქვამდნენ ადმინისტრაციულ ნორმაშემოქმედებაში ხალხის მონაწილეობის სფეროები და გავლენა გაზრდილიყო, *Schlosberg D., Zavestoski S., Shulman S. W., Democracy and E-Rulemaking: Web-Based Technologies, Participation, and the Potential for Deliberation, Journal of Information Technology and Politics*, Vol. 4 (1) 2007, 39, <http://people.umass.edu/stu/eRulemaking/JITP4-1_Democracy.pdf> [10.09.2010].

⁴⁹ *Coglianesse C., Information Technology and Regulatory Policy: New Directions for Digital Government Research, Social Science Computer Review*, Vol. 22 (1), Spring, 2004, 85-91.

⁵⁰ კერძოდ, რამდენად უზრუნველყოფს ასეთი სახის ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედება ხალხის მონაწილეობას და რეგულაციის ხარისხის ზრდას, ასევე როგორ აფასებენ მოქალაქეები ელექტრონული ნორმაშემოქმედების ეფექტიანობას ტრადიციულ ადმინისტრაციულ ნორმაშემოქმედებასთან შედარებით, *Fountain J. E., Prospects for improving the Regulatory Process Using E-Rulemaking, Communications of the ACM*, Vol. 46, № 1, January, 2003, 63.

⁵¹ *Coglianesse C., The Internet and Citizen Participation in Rulemaking, I/S: A Journal of Law and Policy for the Information Society*, Vol. 1, Winter, 2005, 33.

⁵² *Coglianesse C., Information Technology and Regulatory Policy: New Directions for Digital Government Research, Social Science Computer Review*, Vol. 22 (1), Spring, 2004, 85-91.

⁵³ *Benjamin S. M., Evaluating Rulemaking Public Participation and Political Institutions, Duke Law Journal*, Vol. 55, March, 2006, 936.

5. ცნობის ელექტრონულად გამოქვეყნების და მოსაზრების ელექტრონულად წარდგენის უარყოფითი მხარეები

ინტერნეტის გამოყენებას ბევრი უარყოფითი მხარე აქვს.⁵⁴ მართალია, სააგენტოებს შეუძლიათ გამოიყენონ ინტერნეტი ცნობის გამოქვეყნების და მოსაზრების წარდგენისათვის, მაგრამ მასზე დამოკიდებულობა პრობლემებს წარმოშობს. ტექნოლოგია ზრდის ხალხის მონაწილეობას ადმინისტრაციულ ნორმაშემოქმედებაში, მაგრამ ამავე დროს სააგენტოს ოპონენტებს უკეთესი შესაძლებლობა ეძლევათ ისეთი სტრატეგია გამოიყენონ, რომელიც სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესს შეაფერხებს.⁵⁵

გარდა ამისა, რადგან ინტერნეტზე დაშვების უნივერსალური შესაძლებლობა არ არსებობს, სააგენტოები, რომლებიც ზედმეტად არიან დამოკიდებული ინტერნეტზე, როგორც ნორმათა შემუშავების პროცესში ხალხის როლის გაზრდის ძირითად საშუალებაზე, იმ პირების მონაწილეობის უფლების ხელყოფას ახდენენ, ვისაც ინტერნეტთან დაშვება არ გააჩნია. მაგალითად, როგორებიც არიან ქალები, უმცირესობები და ღარიბი ფენა.⁵⁶

ამასთან, ელექტრონული ნორმაშემოქმედების დანერგვას შედეგად მოჰყვება ხალხის აქტიური ჩართვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ნორმათა შემუშავების პროცესში. ეს შეიძლება გამოიხატოს ადმინისტრაციულ ნორმაშემოქმედებაში ჩაბმული პირების მხოლოდ რაოდენობრივ ზრდაში ანუ გაიზარდოს აქტის პროექტთან დაკავშირებით ხალხის მიერ მოწოდებული მოსაზრებების რაოდენობა და არა ხარისხი. მოსაზრებების მხოლოდ რაოდენობრივი ზრდა შეიძლება იმ შემთხვევაში მოხდეს, როცა არ არის მიწოდებული განსხვავებული შეხედულებები ან პირები უკვე წარდგენილ შენიშვნებს ეთანხმებიან.⁵⁷

მართალია, იდენტური მოსაზრებების წარდგენა სააგენტოს დანახარჯებს ამცირებს, რადგან კომპიუტერული პროგრამა ავტომატურად პოულობს ერთმანეთის მსგავს მოსაზრებებს და მათ დაბლოკვას იმგვარად ახდენს, რომ სააგენტოს თანამშრომელს მოსაზრების წაკითხვა აღარ სჭირდება, მაგრამ მდგომარეობა მაშინ იცვლება, როცა მოსაზრებები იდენტურია, თუმცა იმ ფორმის შესაბამისად არ არის შევსებული, რომელიც წარმოდგენილია ვებგვერდზე (მაგალითად, პირმა წარმოდგენილი ფორმა კი არ შეავსო, არამედ ტექსტი თავად შეადგინა და იგი ელექტრონული შეტყობინებით გაგზავნა). ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ კომპიუტერულმა პროგრამამ აღნიშნული მოსაზრებები მათი შინაარსის აბსოლუტური მსგავსების მიუხედავად იდენტურად არ მიიჩნიოს, მაშინ სააგენტოს პირის დაქირავება მოუწევს,⁵⁸ რომელიც ერთმანეთისგან განსხვავე-

⁵⁴ არსებობს საფრთხე, რომ ტექნოლოგიის განვითარება გამოიწვევს დოკუმენტური (განსაკუთრებით ხელნაწერი) მოსაზრებების გაუფასურებას. თუმცა ზოგი ფიქრობს, რომ ელექტრონული კომენტარების პროცედურის წარუმატებლობა, გაახანგრძლივებს დოკუმენტური სახით წარდგენილი კომენტარების უპირატესობას, *Shulman S. W., the Internet Still Might (But Probably Won't Change everything), I/S: A Journal of Law and Policy for the Information Society, Vol. 1, Winter, 2004/2005, 128.*

⁵⁵ *Johnson S. M., The Internet Changes Everything: Revolutionizing Public Participation and Access to Government Information through the Internet, Administrative Law Review, Vol. 50, Spring, 1998, 329-330.*

⁵⁶ იქვე, 329-330.

⁵⁷ *Benjamin S. M., Evaluating Rulemaking Public Participation and Political Institutions, Duke Law Journal, Vol. 55, March, 2006, 904.*

⁵⁸ იმისათვის, რომ შესაძლებელი რეგულაციასთან დაკავშირებით წარდგენილი ინფორმაცია შესწავლილი იქნეს, სააგენტოს ესაჭიროება პირი, რომელიც მიღებულ მასალებს გაეცნობა და დაამუშავებს. მაშასადამე, სააგენტომ იმ მოსაზრებები, რომლებსაც კომპიუტერული პროგრამა არ დააფიქსირებს, როგორც ერთმანეთის მსგავს მოსაზრებებს, დანვრილებით უნდა შეისწავლოს, მიუხედავად იმისა, რომ მათი შინაარსი იდენტურია და ერთი და იმავე იდეას ავითარებენ. ასეთი სახით წარმოდგენილი მოსაზრებები მხოლოდ უკვე მიღებული ინფორმაციის

ბულ და იდენტურ კომენტარებს გააცალკევებს. ეს კი რა თქმა უნდა დამატებით დანახარჯებთან⁵⁹ არის დაკავშირებული.⁶⁰

ამასთან, წარდგენილი მოსაზრებების მოცულობის ზრდის გარდა, ელექტრონული ნორმაშემოქმედების ეფექტიანობას ამცირებს მონაცემთა მოძიების მოქნილი სისტემის არ არსებობა. უფრო რთული და ნაკლებად გამოკვლეული საკითხია როგორ უნდა იქნეს გამიჯნული ექსპერტებისა და დაინტერესებული პირების მიერ წარდგენილი მოსაზრებები.⁶¹

გარდა ამისა, სააგენტოს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მიღებული კომენტარების შედეგად არ შეინიშნება სასარგებლო ინფორმაციის თუ არგუმენტების ზრდა.⁶² მართალია, ელექტრონულ ნორმაშემოქმედებას მოაქვს უკეთესი კოორდინაცია, მაგრამ პრობლემას წარმოადგენს კონკრეტული ინფორმაციის ელექტრონულ ჩანაწერში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას განთავსება, რადგან ამან შეიძლება საფრთხე შეუქმნას სხვა პირთა საიდუმლოების გამჟღავნებას.⁶³

ისინი ასევე მიუთითებენ, რომ ბევრი საკითხი, რომელიც თავიდანვე ეჭვს იწვევდა ელექტრონული ნორმაშემოქმედების ეფექტურობასთან დაკავშირებით, მაგალითად, როგორცაა კომენტარების ავთენტურობის პრობლემა, ვირუსების გავრცელება, არ აღმოფხვრილა და მუდმივ საზრუნავს წარმოადგენს. გარდა ამისა, რადგან *Regulation.gov*-ის გათიშვის საფრთხე არსებობს, პარალელურად წარმოებს მოსაზრებების დოკუმენტური სახით მიღება. შესაბამისად, სანამ ელექტრონული ნორმაშემოქმედების სისტემის გაძლიერება არ მოხდება და გაგრძელდება მასალების დოკუმენტური სახით წარმოება, შეუძლებელი იქნება ელექტრონული ნორმაშემოქმედების სრული პოტენციალის შეფასება.⁶⁴

6. ცნობის ელექტრონულად გამოქვეყნების და მოსაზრებების ელექტრონულად წარდგენის გაუმჯობესების გზები

მკვლევართა შეხედულებით, იმისათვის, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად ადმინისტრაციულ ნორმაშემოქმედებაში ხალხის მონაწილეობა გაიზარდოს, აუცილებელი

მოცულობას ზრდის და ახალი ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით არაფერი იცვლება. აქედან გამომდინარე, დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია წარმოდგენილი მოსაზრებების დამუშავებასთან იზრდება, იქვე, 909.

⁵⁹ რთულია ელექტრონული ნორმაშემოქმედების შედეგის განცალკევება ნორმაშემოქმედების პროცესისგან, რადგან მეტი საშუალების გამოყენება გადაწყვეტილების მიღების პროცესს აყოვნებს. ხოლო, ჩანაწერების ელექტრონული და დოკუმენტური სახით წარმოება აძვირებს ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების პროცესს, *Lubbers J. S., A Survey of Federal Agency Rulemakers' Attitudes about E-Rulemaking, Administrative Law Review, Vol. 62, Spring, 2010, 473-474.*

⁶⁰ *Benjamin S. M., Evaluating Rulemaking Public Participation and Political Institutions, Duke Law Journal, Vol. 55, March, 2006, 904.*

⁶¹ *Parker R. W., The Next Generation of e-Rulemaking: A User's Perspective, eRulemakings Federal Docket Management System, eRulemaking at Crossroads, A collection of White Papers prepared for Dg.O 2006, The 7th Annual International Conference on Digital Government Research, San-Diego, California, May 24, 2006, 17, <<http://people.umass.edu/stu/eRulemaking/Crossroads.pdf>> [10.09.2010].*

⁶² ოფიციალური ჩანაწერები და ხალხის კომენტარები, რომელიც ვებგვერდზე განთავსებისათვის არის წარდგენილი, მოითხოვს სააგენტოს მხრიდან მონაწილას სანამ ელექტრონულად ხელმისაწვდომი გახდება. შესაბამისად, მოსაზრებები იფილტრება ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე...ასე რომ, სააგენტოები ინარჩუნებენ კონტროლს წარდგენილ ინფორმაციაზე, *Shkabatur J., Transparency with(out) Accountability: Open Government in the United States, Yale Law and Policy Review, Vol. 31, Fall, 2012, 97.*

⁶³ *Lubbers J. S., A Survey of Federal Agency Rulemakers' Attitudes about E-Rulemaking, Administrative Law Review, Vol. 62, Spring, 2010, 473-474.*

⁶⁴ იქვე, 472.

ლია ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების შესახებ გზამკვლევის შემუშავება,⁶⁵ ასევე იმ ვებ-გვერდის გაუმჯობესება, რომელზეც ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების შესახებ ინფორმაცია უნდა განთავსდეს.⁶⁶

გარდა ამისა, რადგან მოსაზრებების ელექტრონული საშუალებების გამოყენებით წარდგენას მიღებული ინფორმაციის მოცულობის გაზრდა მოჰყვება, ტრადიციული ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების ელექტრონული ნორმაშემოქმედებით ჩანაცვლება, შესაბამისი ელექტრონული ინსტრუმენტების გამოყენების დანებებას საჭიროებს, რომელთა მეშვეობით ხალხის მიერ წარდგენილი მოსაზრებების სისტემატიზაცია, სხვადასხვა დოკუმენტის შეკრება და შეფასება⁶⁷ ასევე გაორების და შეუსაბამობის აღმოჩენა იქნება შესაძლებელი.⁶⁸

ამასთან, სასურველი იქნება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პირის დაქირავება, რომელიც წარდგენილ კომენტარებს შეისწავლის⁶⁹ და განსახილველი საკითხების ცხრილს შეადგენს.⁷⁰ გარდა ამისა, ელექტრონული ნორმაშემოქმედების გასაუმჯობესებლად⁷¹ საჭიროა მოქალაქეებისათვის

⁶⁵ მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სასურველია ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების შესახებ ცნობაში მიეთითოს სპეციფიკური საკითხები, რომლებზეც სააგენტოს სურს მოსაზრების მიღება, ასევე ცნობაში ან სასწავლო ვებ გვერდზე, რომელიც ძირითად გვერდზე იქნება მიბმული, მოცემული იყოს სტანდარტული ტექსტი მოსაზრებების შედგენის ეფექტურ გზებზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული ცალკეული პირებისთვის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, *Reitz J. C., E-Government, American Journal of Comparative Law, Vol. 54, Fall, 2006, 747.*

⁶⁶ *Farina C., Cardie C., Bruce T. R., Wagner E., Better Inputs for Better Outcomes: using the interference to improve e-Rulemaking, eRulemakings Federal Docket Management System, eRulemaking at Crossroads, A collection of White Papers prepared for Dg.O 2006, The 7th Annual International Conference on Digital Government Research, San-Diego, California, May 24, 2006, 13, <<http://people.umass.edu/stu/eRulemaking/Crossroads.pdf>> [10.09.2010].*

⁶⁷ ვებგვერდების უკეთ მართვისთვის ბევრმა სააგენტომ შექმნა „ვებ საბჭო“ ან მსგავსი სახის სამუშაო ჯგუფი. მათ ასევე შეიმუშვეს სხვადასხვა შიდა სტანდარტი და შექმნეს საახელმძღვანელო ვებგვერდის დიზაინსთვის, *Coglianesse C., Enhancing Public Access to Online Information, Michigan Journal of Environmental and Administrative Law, Vol. 2, Fall, 2012, 39.*

⁶⁸ ამჟამად მიმდინარეობს მეთოდოლოგიის ძიება, რომლის გამოყენებით შესაძლებელი გახდება ხალხის მიერ მიწოდებული მოსაზრებების სისტემატიზაციის გაუმჯობესება. ახალი ტექნოლოგიური მეთოდები მუშავდება, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ინფორმაციის აღდგენა, იგივეობრივი კომენტარების აღმოჩენა, ტექსტების შეჯამება და სხვა ამოცანების გადანაცვლება, *Law K. H., Lau G. T., E-Rulemaking: Needs from ICT Perspectives, eRulemakings Federal Docket Management System, eRulemaking at Crossroads, A collection of White Papers prepared for Dg.O 2006, The 7th Annual International Conference on Digital Government Research, San-Diego, California, May 24, 2006, 11, <<http://people.umass.edu/stu/eRulemaking/Crossroads.pdf>> [10.09.2010].*

⁶⁹ ზოგიერთ შემთხვევაში სააგენტოებმა მოსაზრებების ანალიზის უფლებამოსილება შეიძლება გადასცენ კერძო კონტრაქტორებს, *Coglianesse C., E-Rulemaking: Information Technology and the Regulatory Process, Administrative Law Review, Vol. 56, Spring, 2004, 377.*

⁷⁰ ცხრილი წარმოადგენს მონაცემთა ელექტრონული მენეჯმენტის სისტემაში არსებული ინფორმაციის გრაფიკულ გამოსახულებას ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების დინამიკის შესახებ, *Carlitz R. D., Information Renaissance, eRulemaking at Crossroads, A collection of White Papers prepared for Dg.O 2006, The 7th Annual International Conference on Digital Government Research, San-Diego, California, May 24, 2006, 10, <<http://people.umass.edu/stu/eRulemaking/Crossroads.pdf>> [10.09.2010], სასურველი იქნება თუ მსგავსი სახის ცხრილი საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნდება...ნებისმიერ შემთხვევაში აშკარაა, რომ კომენტარების მენეჯმენტი წარმოადგენს ელექტრონული ნორმაშემოქმედების კვლევის შემდგომ ეტაპს, *Parker R. W., The Next Generation of e-Rulemaking: A User's Perspective, eRulemakings Federal Docket Management System, eRulemaking at Crossroads, A collection of White Papers prepared for Dg.O 2006, The 7th Annual International Conference on Digital Government Research, San-Diego, California, May 24, 2006, 17, <<http://people.umass.edu/stu/eRulemaking/Crossroads.pdf>> [10.09.2010].**

⁷¹ შეინის მიერ ქვეყნის მასშტაბით „ელეიბერაციული ჯგუფების“ შექმნის იდეა იქნა წარმოდგენილი, რომლებსაც პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაშვება ექნებათ, იმისთვის, რომ მოლაპარაკება „ონლაინ რეჟიმში“ აწარმოონ. შემდგომში აღნიშნული ჯგუფები სააგენტოს დღის წესრიგში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით რეკომენდაციების ჩამოსაყალიბებლად მინვეულები იქნებიან. 2001 წელს გარემოს დაცვის სააგენტომ მიმართა შეინის მიერ შემოთავაზებულ მეთოდს და პოლიტიკის შემუშავებაში მოსახლეობის ჩართულობის

ადმინისტრაციული ორგანოს ვებგვერდზე არსებულ მასალებზე დაშვების უფლების მინიჭება. ამასთან, კარგი იქნება ისეთი გზის მოძებნა,⁷² რომელიც დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას მისცემს ადმინისტრაციულ ნორმაშემოქმედებაში რეგულაციის შემუშავების დაწყებიდან მისი სამართლოში გასაჩივრების მომენტამდე მონაწილეობა მიიღონ.⁷³

გარდა ამისა, მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების გაუმჯობესებასთან ერთად აუცილებელია ელექტრონული ნორმაშემოქმედების ტრანსფორმაცია რეგულაციური არჩევნების გზით განხორციელდეს, რომელიც შეთავაზებულ პროექტზე ხალხის აზრის გამოსაკვლევად ელექტრონული არჩევნების ჩატარებას გულისხმობს.⁷⁴ შესაძლოა ასევე გამოყენებული იქნეს მოსაზრებების წარდგენა სიმულაციის⁷⁵ მეშვეობით, მაგრამ რადგან დღეს ელექტრონული ნორმაშემოქმედება როგორც ამერიკაში, ისე საქართველოში განვითარების ჩანასახოვან სტადიაზეა, აღნიშნული პროცესის შესახებ მომავალში⁷⁶ უფრო მეტი იქნება შესასწავლი.⁷⁷

დღეისათვის ნათელია, რომ ცალკეული კატეგორიის ნორმაშემოქმედებაში ხალხის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით აქტიური მონაწილეობა ფასეულია, თუმცა ნორმაშემოქმედების უმეტესი შემთხვევისათვის, პირიქით, უშედეგო და არაადამაკმაყოფილებელი. აქედან გამომ-

წარმოსაჩვენად, ქვეყნის მასშტაბით ათდღიანი ეროვნული საჯარო ონლაინ დიალოგი გამოაცხადა. დიალოგის სესიის თითოეული დღისათვის გარემოს დაცვის სააგენტომ ვებგვერდზე ახალ საკვანძო საკითხს აქვეყნებდა, სადაც რამდენიმე მონაწილეს ნიშნავდა, რომლებიც დისკუსიის ლიდერების ფუნქციას შეასრულებდნენ. მართალია, მეთოდი წარმატებული იყო, თუმცა აღნიშნულმა ექსპერიმენტმა აჩვენა, პირები, რომლებიც დიალოგში მონაწილეობდნენ, საჯარო მოხელეები იყვნენ და მომზარებულებისაგან დღეში მხოლოდ 10 შეტყობინება შედიოდა, რომელთა შორის უბრალო მოქალაქეები მცირე რაოდენობას წარმოადგენდნენ, *Coglianesi C., Citizen Participation in Rulemaking: Past, Present and Future, Thirty-Fifth Annual Administrative Law Issue The Role of the Internet in Agency Decisionmaking, Duke Law Journal, Vol. 55, March, 2006, 960-962, ტომას ბეირლის და სტუარტ შულმანის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ელექტრონული ნორმაშემოქმედება კარგი საშუალებაა ხალხის მონაწილეობის ბარიერის შესამცირებლად, მაგრამ მას არ შეუძლია ინფორმაციის გაცვლის ხარისხის გაუმჯობესება, Brandon B. H., An Update on the E-Government Act and Electronic Rulemaking, Administrative and Regulatory Law News, 29, Fall, 2003, 8.*

⁷² ელექტრონული იარაღების სწორი ვიზუალიზაცია ვებგვერდზე მოსაზრებებს წარდგენის პროცესს გააუმჯობესებს. ასეთ იარაღებს მიეკუთვნება ის იარაღები, რომლებიც ხელს უწყობენ საჯარო ინტერესების რუკის სახით გამოსახვას, ხალხის მიერ გამოხატული შეხედულებების დიაგრამების შედგენას, მიწოდებული მასალების რაოდენობრივ ანალიზს და შესაძლებლობას აძლევენ რეგულატორს წარმოდგენა შეიქმნას ინფორმაციაზე, *Noveck B. S., Public Participation in Electronic Rulemaking: Electronic Democracy or Notice-and-Spam? Administrative and Regulatory Law News, Vol. 30, Fall, 2004, 9.*

⁷³ *Lubbers J. S., The Transformation of the U.S. Rulemaking Process-For Better or Worse, Ohio Northern University Law Review, Vol. 34, 2008, 479.*

⁷⁴ *Coglianesi C., the Internet and Citizen Participation in Rulemaking, I/S: A Journal of Law and Policy for the Information Society, Vol. 1, Winter, 2005, 44.*

⁷⁵ სააგენტოებს შეუძლიათ ხალხს შესთავაზონ სიმულაციური პროგრამაზე დაშვება, რომელიც სააგენტოს მოდელს ეფუძნება. საზოგადოების წევრებს საშუალება ექნებათ პარამეტრები შეცვალონ და ამის შემდეგ ჩაებან სხვადასხვა სახის სიმულაციაში რეგულაციის შესამუშავებლად. ასეთი მიდგომა შესაძლებლობას მისცემს სააგენტოებს ახალი რეგულაციის შემუშავებისას მნიშვნელოვან საკითხებზე საზოგადოების შეხედულება მიიღონ, იქვე, 33.

⁷⁶ თუმცა, მომავლის პერსპექტივაა რამდენად უზრუნველყოფს ონლაინ-კომუნიკაცია გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაუმჯობესებას, *Furlong S. R., Kerwin M. C., Interest Group Participation in Rule Making: A Decade of Change, Economics of Administrative Law, Rose-Ackerman S. (ed.), Edward Elgar Publishing, Inc., An Elgar Reference Collection, Chentelham, UK, Northampton, MA, USA, 2007, 332.*

⁷⁷ ინტერნეტ ტექნოლოგია, რომელიც საჯარო კომენტარების შეკრების და სინთეზისთვის, გამოიყენება, სისტემატურად უნდა გადიოდეს ტესტირებას შედეგის მისაღწევად, *Shulman S., Citizen Agenda –Setting: The Electronic Collection and Synthesis of Public Commentary in the Regulatory Rulemaking Process, Environmental Science and Policy Program, University-Olin Hall, <http://www.digitalgovernment.org/library/library/dgo2001/ME-DIA/DRAKE.PDF> [10.09.2010].*

დინარე, მნიშვნელოვანია ნორმაშემოქმედების იმ სფეროების გამოკვეთა, სადაც ხალხის ელექტრონული ფორმით მონაწილეობა შედეგს გამოიღებს.⁷⁸

ელექტრონული ნორმაშემოქმედების შედეგები დამოკიდებულია იმაზე, როგორ არის ის რეალიზებული და გამოყენებული. ელექტრონული ნორმაშემოქმედებისაგან დადებითი შედეგის მისაღებად... ნორმაშემოქმედების ავტორებმა ფრთხილად უნდა დანერგონ ნებისმიერი ახალი ტექნოლოგია ადმინისტრაციულ ნორმათა შემუშავების პროცესში.⁷⁹

შესაბამისად, საინტერესო იქნება იმისთვის თვალის მიდევნება როგორ მოხდება ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების პროცესის გარდაქმნა⁸⁰ ამერიკის შეერთებულ შტატებში⁸¹ და საქართველოში.

7. დასკვნა

კვლევამ წარმოაჩინა, რომ ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით ცნობის ელექტრონულად გამოქვეყნება და მოსაზრების ელექტრონულად წარდგენა განვითარებულია ამერიკაში, ხოლო საქართველოში ჩანასახოვან სტადიაზეა. მართალია, საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე ნორმატიული აქტის პროექტზე კომენტარის დატოვების შესაძლებლობა წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ კომენტარების დატოვების თვალსაზრისით მომხმარებელთა პასიურობა მიაწინებს, რომ აუცილებელია მთელი რიგი რეფორმების გატარება.

სასურველი იქნება კანონის მიღება ელექტრონული მმართველობის შესახებ, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოებს და საზოგადოებას შორის ინტერნეტ-კომუნიკაციის ფორმებს და მეთოდებს დანვრილებით განსაზღვრავს.

⁷⁸ ამ თვალსაზრისით, ნორმაშემოქმედება 2.0. ფარგლებში განხორციელებული ნორმაშემოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ელექტრონული ნორმაშემოქმედების გაუმჯობესებას, შეიძლება გახდეს წარმატებული ინიციატივა, *Herz M., Chair's Message, Administrative and Regulatory Law News, Vol. 37, Summer, 2012, 2.*

⁷⁹ *Coglianesi C., Shapiro S., Balla S. J., Unifying Rulemaking Information: Recommendations for the New Federal Docket Management System, Administrative Law Review, Vol. 57, Spring, 2005, 629.*

⁸⁰ რადგან, თავდაპირველ ელექტრონულ ნორმაშემოქმედებას შეზღუდული შესაძლებლობა აღმოაჩნდა უზრუნველყო ხალხის მეტი, ეფექტური და გამჭვირვალე მონაწილეობა ადმინისტრაციულ ნორმაშემოქმედებაში, ფედერალურმა სააგენტოებმა და ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციულმა კონფერენციამ შეიმუშავეს რეფორმების გეგმა ელექტრონული ნორმაშემოქმედების გასაუმჯობესებლად. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციულმა კონფერენციამ გამოსცა „რეკომენდაციები ნორმაშემოქმედების კომენტარებთან დაკავშირებით,“ რათა გამოეკვეთა ხალხის მონაწილეობის და ნორმაშემოქმედების შედეგების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით არსებული საუკეთესო პრაქტიკა. ხალხის მოსაზრებების ეფექტურობისთვის ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციულმა კონფერენციამ დაადგინა, რომ ფედერალურმა მთავრობამ ვებგვერდზე *Regulations.gov* უნდა გამოაქვეყნოს დოკუმენტი, რომელიც განმარტავს როგორი სახის კომენტარები არის მეტად სასარგებლო. მან ასევე უნდა წარმოადგინოს საუკეთესო კომენტარების მაგალითები. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციულმა კონფერენციამ ასევე მიუთითა, რომ მნიშვნელოვან ნორმაშემოქმედებასთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენის პერიოდი უნდა გაგრძელდეს არანაკლებ 60 დღე. გარდა ამისა, სააგენტოებმა ვებგვერდზე დროულად უნდა გამოაქვეყნონ ელექტრონული თუ დოკუმენტური სახით მიღებული ყველა მოსაზრება და სრულად გამოიყენონ კომენტარებზე პასუხის გაცემისთვის დადგენილი პერიოდი, ან გამოიყენონ სხვა ხერხი მიღებულ კომენტარებზე ხალხის მხრიდან რეაგირების გასაძლიერებლად, *Johnson S. M., Beyond the Usual Suspects: ACUS, Rulemaking 2.0, and a Vision for Broader, More Informed, and More Transparent Rulemaking, Administrative Law Review, Vol. 65, Winter, 2013, 97-98.*

⁸¹ *Coglianesi C., The Internet and Public Participation in Rulemaking, Paper prepared for conference on Democracy in Digital Age, Yale Law School, April, 2003, 6, <<http://www.hks.harvard.edu/m-rcbg/research/rpp/RPP-2003-05.pdf>> [30.10.2012].*

ცნობის ელექტრონული ფორმით გამოქვეყნების გარდა, აუცილებელია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამის მუხლებში აისახოს დაინტერესებული პირების მხრიდან მოსაზრებების ელექტრონული ფორმით წარდგენის პროცედურა. ამასთან, ადმინისტრაციულ ნორმაშემოქმედებაში ხალხის ელექტრონული ფორმით მონაწილეობის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია ცენტრალიზებული ელექტრონული სისტემის დამკვიდრება, რომელზეც ყველა ადმინისტრაციულ ორგანოს ექნება წვდომა. ადმინისტრაციული ორგანოები შეძლებენ ამ ვებგვერდზე განათავსონ ცნობა ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების შესახებ, გამოაქვეყნონ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, ასევე ნორმაშემოქმედებასთან დაკავშირებით განხორციელებული კვლევის შედეგები.

აუცილებელია ცენტრალიზებული ელექტრონული სისტემა აღიჭურვოს ყველა შესაძლო ელექტრონული საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს წარდგენილი მოსაზრებების იდენტიფიცირებას და მოსაზრებებზე ადმინისტრაციული ორგანოს მარტივ დაშვებას მათი შემდგომი გადაწყვეტილების მიზნით.

ამასთან, ელექტრონულ ნორმაშემოქმედებაზე სრულად გადასვლამდე, ადმინისტრაციულ ნორმაშემოქმედებაზე წვდომის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია შენარჩუნებული იქნეს ცნობის გამოქვეყნების და მოსაზრების დოკუმენტური ფორმით წარდგენის პროცედურა.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №33, 25/09/1999.
2. *Adler M.*, Administrative Justice in Context, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2010, 55.
3. *Benjamin S. M.*, Evaluating Rulemaking Public Participation and Political Institutions, Duke Law Journal, Vol. 55, March, 2006, 899, 902, 904, 909, 936.
4. *Brandon B. H.*, An Update on the E-Government Act and Electronic Rulemaking, Administrative and Regulatory Law News, 29, Fall, 2003, 8.
5. *Brandon B. H.*, *Carlitz R. D.*, Online Rulemaking and Other Tools for Strengthening our Civil Infrastructure, Administrative Law Review, Vol. 54, Fall, 2002, 1470.
6. *Coglianesi C.*, Enhancing Public Access to Online Information, Michigan Journal of Environmental and Administrative Law, Vol. 2, Fall, 2012, 22-23, 39.
7. *Coglianesi C.*, Citizen Participation in Rulemaking: Past, Present and Future, Thirty-Fifth Annual Administrative Law Issue The Role of the Internet in Agency Decision making, Duke Law Journal, Vol. 55, March, 2006, 943, 960-962, 968.
8. *Coglianesi C.*, Information Technology and Regulatory Policy: New Directions for Digital Government Research, Social Science Computer Review, Vol. 22 (1), Spring, 2004, 85-91.
9. *Coglianesi C.*, The Internet and Citizen Participation in Rulemaking, I/S: A Journal of Law and Policy for the Information Society, Vol. 1, Winter, 2005, 33, 44.
10. *Coglianesi C.*, *Kilmartin H.*, *Mendelson E.*, Transparency and Public participation in the Federal Rulemaking Process: Recommendations for the New Administration, Annual Review of Administrative Law Report, George Washington Law Review, Vol. 77, June, 2009, 939-940.
11. *Coglianesi C.*, *Shapiro S.*, *Balla S. J.*, Unifying Rulemaking Information: Recommendations for the New Federal Docket Management System, Administrative Law Review, Vol. 57, Spring, 2005, 629.
12. *Dooling B. C. E.*, Legal Issues in E-Rulemaking, Administrative Law Review, Vol. 63, Fall, 2011, 896-897.
13. *Farina C. R.*, Achieving the Potential: The Future of Federal Rulemaking (2009) Report of the Committee on the Status and Future of Federal E-Rulemaking, Administrative Law Review, Vol. 62, Winter, 2010, 282, 283, 285, 287-288.

14. *Farina C. R., Newhart M. J., Cardie C., Cosley D.*, Rulemaking 2.0, Symposium: What Change Will Come: The Obama Administration and the Future of the Administrative State Articles, *University of Miami Law Review*, Vol. 65, Winter, 2011, 396, 397.
15. *Field A. B.*, Comments on a truly "Top Task." Rulemaking and its Accessibility on Agency Websites, *Environmental Law Institute and Vanderbilt University Law School Environmental Law and Policy Annual Review Article and Response*, *Environmental Law Reporter News and Analysis*, Vol. 44, August, 2014, 10668.
16. *Figueiredo J. H.*, E-Rulemaking: Bringing Data to Theory at the Federal Communications Commission, *Duke Law Journal*, Thirty-Fifth Annual Administrative Law Issue, The Role of the Internet in Agency Decision-making Articles, Vol. 55, March, 2006, 974-975.
17. *Fountain J. E.*, Prospects for improving the Regulatory Process Using E-Rulemaking, *Communications of the ACM*, Vol. 46, № 1, January, 2003, 63.
18. *Furlong S. R., Kerwin M. C.*, Interest Group Participation in Rule Making: A Decade of Change, *Economics of Administrative Law*, *Rose-Ackerman S. (ed.)*, Edward Elgar Publishing, Inc., An Elgar Reference Collection, Chentelham, UK, Northampton, MA, USA, 2007, 332.
19. *Herz M.*, Chair's Message, *Administrative and Regulatory Law News*, Vol. 37, Summer, 2012, 2.
20. *Jones G. D.*, Electronic Rulemaking in the New Age of Openness: Proposing a Voluntary Two-Tier Registration System for Regulations.Gov, *Administrative Law Review*, Vol. 62, Fall, 2010, 1270, 1275-1277.
21. *Johnson S. M.*, Beyond the Usual Suspects: ACUS, Rulemaking 2.0, and a Vision for Broader, More Informed, and More Transparent Rulemaking, *Administrative Law Review*, Vol. 65, Winter, 2013, 91, 97-98. 107, 108, 109.
22. *Johnson S. M.*, The Internet Changes Everything: Revolutionizing Public Participation and Access to Government Information through the Internet, *Administrative Law Review*, Vol. 50, Spring, 1998, 329-330.
23. *Lubbers J. S.*, A Survey of Federal Agency Rulemakers' Attitudes about E-Rulemaking, *Administrative Law Review*, Vol. 62, Spring 2010, 471, 472, 473-474.
24. *Lubbers J. S.*, The Transformation of the U.S. Rulemaking Process-For Better or Worse, *Ohio Northern University Law Review*, Vol. 34, 2008, 479.
25. *Milosz M., Tykwinska-Rutkowska D.*, The Concept of "E-Administration" and the Regulatory Framework for Electronic Administration in Polish Law, *Computer and Telecommunications Law Review*, Vol. 14 (4), 2008, 100.
26. *Noveck B. S.*, Public Participation in Electronic Rulemaking: Electronic Democracy or Notice-and-Spam? *Administrative and Regulatory Law News*, Vol. 30, Fall, 2004, 8, 9.
27. *Noveck B. S.*, The Electronic Revolution in Rulemaking, *Emory Law Journal*, Vol. 53, Spring 2004, 516.
28. *Paul G. L., Baron J. R.*, Information Inflation: Can the Legal System Adapt? *Richmond Journal of Law and Technology*, Vol. 13, Spring, 2007, 67.
29. *Reitz J.C.*, E-Government, *American Journal of Comparative Law*, Vol. 54, Fall, 2006, 747.
30. *Shulman S. W.*, the Internet Still Might (But Probably Won't Change everything), *I/S: A Journal of Law and Policy for the Information Society*, Vol. 1, Winter 2004/2005, 128.
31. *Shkabatur J.*, Transparency with(out) Accountability: Open Government in the United States, *Yale Law and Policy Review*, Vol. 31, Fall, 2012, 97.
32. <<http://people.umass.edu/stu/eRulemaking/Crossroads.pdf>>, 2, 5, 10, 11, 13-15, 17, 39 [12.10.2011].
33. <<http://www.law.upenn.edu/academics/institutes/regulation/erulemaking/papersandreports.html>> [10.09.2010].
34. <https://www.law.upenn.edu/institutes/regulation/erulemaking/papers_reports/Herz_E_Rulemaking.pdf> [10.09.2010].
35. <<http://www.hks.harvard.edu/m-rcbg/research/rpp/RPP-2003-05.pdf>>, 6 [30.10.2012].
36. <http://www.info-ren.org/publications/cof/cof_0210.html> [10.09.2010].
37. <<http://www.law.upenn.edu/academics/institutes/regulation/erulemaking/papersandreports.html>>[10.09.2010].
38. <<http://www.digitalgovernment.org/library/library/dgo2001/MEDIA/DRAKE.PDF>> [10.09.2010].